



ონის მუნიციპალიტეტის მერია



ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ქ. ონი

N 1575
02/07/2019

1575-02-4-201907020954



ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის N39 დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეიქმნას ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ემზარ საბანაძე	მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
შუქურა ჯაფარიძე	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ეკა მაისურაძე	მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ლევან შერაზადიშვილი	მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქ. ონის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
სონია გუგეშაშვილი	მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მანანა ჩაგელიშვილი	მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
თამარ ლობჯანიძე	მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის მდივანი;
ნაზიბროლა გავაშელიშვილი	ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს დირექტორი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს კანდიდატთა შერჩევა და დოკუმენტაციის შესწავლა.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს თანახმად.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

